



საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 13
05/07/2017

13-06-4-201707051810



და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №13
5 ივლისი 2017

“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ” ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

და ა ა დ გ ი ნ ა :

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება, “ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ” ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 იანვრის N2 დადგენილებაში (სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, ვებგვერდი 08/01/2015, სარეგისტრაციო კოდი 190040000.35.113.016209) და დადგენილების:

1.სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, პროფესიული საჯარო მოხელეთა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“;

2 .პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლისა

და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის (29.06.2017წ. N1157-III) 126¹ მუხლის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის, „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის N215 დადგენილების შესაბამისად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა“;

3. N1 დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დანართი №1

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა
თანამდებობრივი სარგოების ოდენობები**

N	თანამდებობის დასახელება	იერარქიული რანგი	თანამდებობრივი სარგო
1	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	პოლიტიკური თანამდებობა	2250
2	კომისიის თავმჯდომარე	პოლიტიკური თანამდებობა	1680
3	ფრაქციის თავმჯდომარე	პოლიტიკური თანამდებობა	1680

4. N2 დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები

თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი რანგი	თანამდებობრივი სარგო
აპარატის უფროსი	პირველი რანგის თანამდებობა	1500
განყოფილების უფროსი	მეორე რანგი	1050
უფროსი სპეციალისტი	მესამე რანგის (მეორე კატეგორია)	850
უფროსი სპეციალისტი (ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში)	მესამე რანგის (მეორე კატეგორია)	750
უფროსი სპეციალისტი	მესამე რანგის (მესამე კატეგორია)	700
უმცროსი სპეციალისტი(მატერიალურ-ტექნიკური მომსახურების საკითხებში)	მეოთხე რანგი (პირველი კატეგორია)	750
უმცროსი სპეციალისტი	მეოთხე რანგი (პირველი კატეგორია)	650
უმცროსი სპეციალისტი	მეოთხე რანგი (მეორე კატეგორია)	650

5. დადგენილებას დაემატოს შემდეგი შინაარსის N3 დანართი:


შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების სარგოების ოდენობა

თანამდებობრივი დასახელება	თანამდებობრივი სარგო
საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე	1000

საკრებულოს თავმჯდომარის მძღოლი	650
საკრებულოს თავმჯდომარის მდივანი	650
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის ექსპერტ-კონსულტანტი	650

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივლისიდან.

დავით დარჩია



საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო